ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №91

2018 წლის 25 მაისი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ,,გაზიფიცირების

პროგრამის" დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტების, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ,,კ'' ქვეპუნქტისა და საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის გაზიფიცირების პროგრამა" -თანახმად დანართისა;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №462 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ,,სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირების პროგრამა;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ.წულუკიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის
პ რ ო გ რ ა მ ა

2018 წელი

ზომის ერთეული ლარი

1. **პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)**

გ ა ზ ი ფ ი ც ი რ ე ბ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა

2. **პროგრამის განმახორციელებელი**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

3. **პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი**

20 000 (ოცი ათასი) ლარი

4. **პროგრამის ძირითადი მიზნები**

სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის, ცხოვრების ხარისხის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

ანალოგიური პროგრამა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მოქმედებდა 2015 წლიდან. 2015 წელს პროგრამით ისარგებლა 27 ბენეფიციარმა, 2016 წელს 75 ბენეფიციარმა ხოლო 2017 წელს 75 ბენეფიციარმა.

5. **პროგრამის აღწერა და აქტუალობის დასაბუთება**

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა შემოსავალი მეტად მწირია, დიდ პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი აირის შეყვანისათვის თანხის გაღება. ასევე მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური მხარდაჭერაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების გაზიფიცირება.

პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში 0-დან 65 000-მდე სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების გაზიფიცირებას - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით.

6. **სფერო, რომელსაც ეხება პროგრამა** **სოც. უზრუნველყოფა**

7. **პროგრამის საანგარიშო პერიოდი:**

დაწყება: 01.05.2018 **დასრულება:** 31.12.2018

8.	პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	
№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების დეტალური აღწერა
1	სოციალური უზრუნველყოფა _ 0-დან 65 000-მდე სარეიტინგი ქულის მქონე ოჯახების გაზიფიცირება, რომლებიც რეგისტრირებულია სოციალური სააგენტოს ქობულეთის ფილიალში	ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო ღირებულების დაფინანსებას ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაზქურამდე) არაუმეტეს 400(ოთხასი) ლარით.
2	სოციალური უზრუნველყოფა _ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახების გაზიფიცირება	

9.	პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების კალენდარი												
№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიებები თვეების მიხედვით:											
		01	02	03	04	05	06	07	08	09	10	11	12
1	მოქალაქეების განცხადებების მიღება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X		

2	მოქალაქეების განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X		
3	მომსახურების გაწევა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამის ბიუჯეტი წყაროების მიხედვით (ლარი)

№	დაფინანსების წყარო	წილი (%)	სულ თანხა
ა	ადგილობრივი ბიუჯეტი	100%	20000
ბ	სხვა	0%	0
ჯამი		100%	20000

11. პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები ღონისძიებების მიხედვით (ლარი);

№	ღონისძიების დასახელება	გადასახდელების ეკონომიკური კატეგორია	სულ თანხა, მათ შორის:	
			გარდამავალი	მიმდინარე
ა	ადგილობრივი ბიუჯეტი		0	20000
1	გაზიფიცირების ხარჯის დაფარვა	ხარჯები		20000
ბ	სხვა		0	
...				
ჯამი			0	20000

12. მოსალოდნელი შედეგები

1	სწორი ტაქტიკის შემუშავება
2	მონაცემთა ბაზის შექმნა
3	სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის გაუჯობესება
4	ცხოვრების ხარისხის ამაღლება

13. შედეგების შეფასების კრიტერიუმები

1	პროგრამაში მონაწილე პირთა რაოდენობა
2	კმაყოფილების დონის განსაზღვრა
3	

14. **საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შესყიდვები:**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები განხორციელება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის, 3' პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

15. **დამატებითი ინფორმაცია:**

მომსახურეობა გაეწევა ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 0-დან 65 000-მდე სარეიტინგი ქულის მქონე ოჯახების გაზიფიცირება, რომლებიც რეგისტრირებულია სოციალური სააგენტოს ქობულეთის ფილიალში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული სამომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული მეომრების ოჯახებს.

პროგრამაში ბენეფიციარების ჩართვის რიგობრიობა განისაზღვრება განცხადების რეგისტრაციის თარიღის შესაბამისად.

პროგრამაში ჩართვის მიზნით წარმოსადგენი საბუთების ნუსხა:

1) განცხადება;

2) პროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი;

3) პირადობის მოწმობის ასლი;

4) ბუნებრივი აირის მოწყობილობის მონტაჟის ხელშეკრულება;

5) ინვოისი.

16. **მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:**

შემოსული განცხადების განხილვის შემდეგ, პროგრამის ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა გაზიფიცირების ვაუჩერი. სადაც მითითემულია ბენეფიციარის პირადი ნომერი და მისამართი.

დაფინანსება განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და მომსახურე კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.